2021 -2022 სასწავლო წელს
ხარაგაულის „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ გაწეული
ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგეხსენებათ, რომ ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება ემსახურება 21 საბავშვო ბაღს და მარელისის სასკოლო მზაობის ჯგუფს.

გაერთიანება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს სკოლამდელი ასაკის ბავშვების სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნას.

გაერთიანება მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას „ადრეული ასაკის სწავლისა და განვითარების სტანდარტები“ და „პროგრამის ხარისხის სტანდარტი“.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაღებში დაცულია კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმები საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილების საფუძველზე. სამი ძირითადი კვებიდან (საუზმე, სადილი, სამხარი) დაცულია კალორიულობა, დიდი ყურადღება ექცევა კვების ორგანიზებას, ჰიგიენური ნორმების დაცვას, კვების ბლოკის აღჭურვილობის, პროდუქტების შენახვისა და სურსათის მომზადების მოთხოვნებს.

ხარაგაულის „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ ბიუჯეტმა გასულ 2021 წელს შეადგინა 1 580 000 ლარი.
ვინაიდან სასწავლო პროცესი პანდემიის გამო მთელს საქართველოში 1მარტს განახლდა, თებერვლის თვეში 606 აღსაზრდელზე გაიცა ერთჯერადად კვების პროდუქტები, რომლისთვისაც გაიხარჯა 18783 ლარი. ერთჯერადი პროდუქტი ასევე გაიცა ნოემბერშიც 25192 ლარის და ასევე საახალწლოდ მოხდა 11853 ლარის ტკბილეულისა და საჩუქრების გადაცემა ყველა ბავშვზე.

ბაღების გაერტიანების მიერ ყოველწლიურად ხდება ოტახის სათამაშოებისა და საბავსვო ლიტერატურის შეძენა. 2021 წლის დასაწყისში, ყველა ბაღში შეტანილი იქნა 2000 ლარის ღირებულების ახალი საბავშვო წიგნები და 4500 ლარის ოთახის სათამაშოები. ოთახის სათამაშოები და საბავშვო წიგნები, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები და სათამაშოები, შეძენილი იქნა წელსაც 4700 ლარის ღირებულების.

ამასთან ერთად, გაერთიანების მიერ 2200 ლარად შეძენილ იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეკომენდირებული და შემუშავებული „ადრეული განათლების კურიკულუმი“ (მეთოდური სახელმძღვანელო), რომელიც დაურიგდა ყველა აღმზრდელს. აღნიშნული კურიკულუმის პრაქტიკაში განსახორციელებლად ინტენსიურად მიმდინარეობს და მომავალ თვეებშიც დაგეგმილია სემინარები და

ტრენინგები თემატური მიმართულებებით, რომელსაც განვახორციელებთ ადგილობრივი ძალებით. (გაერთიანების მეთოდისტმა თ. ავალიშვილმა გაიარა 40 დღიანი სპეციალური კურსი და მიენიჭა ტრენერთა ტრენერის სტატუსი)

გაერთიანების საბავშვო ბაღებში მაქსიმალურად დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. 2021 წელს შ.პ.ს. „ჰიგიას მიერ ჩატარებული გვაქვს 2888 ლარის სადეზინფექციო სამუშაოები, ასევე ყველა ბაღში ყოველწლიურად ხდება სასმელი წყლის ხარისხის შემოწმება, რისთვისაც გაერთიანებამ გასულ წელს გადაიხადა 1911 ლარი. პერიოდულად შეგვაქვს ყველა ბაღში საჭირო სადეზინფექციო ხსნარები.

სისტემატურად ტარდება ბაღების მონიტორინგი და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ხდება მათი ხელშეწყობა.

გასულ წელს სრულად მოხდა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების გადატვირთვა ყველა საბავშვო ბაღში, სამუშაოები შესრულდა შ.პ.ს. „იმერეთის სახანძრო დაცვის“ მიერ 1350 ლარად.

2021 წლის დასაწყისიდან ყველა საბავშვო ბაღისათვის ტენდერით შეძენილ იქნა ელექტრო ქურები, რისთვისაც გაიხარჯა 38100 ლარი, დამონტაჟებისათვის გაიხარჯა-3500 ლარი. ბაღების ელექტრო ქურებზე გადასვლისათვის საჭირო გახდა რამდენიმე ბაღში(ბორითი და #2 ბაღში) სიმძლავრის გაზრდა, რისთვისაც გაიხარჯა 11350 ლარი.

2021 წლის მარტის შუა რიცხვებში გაიხსნა უმაღლესი სტანდარტების მქონე ვერტყვიჭალიასა და საღანძილის საბავშვო ბაღები, რომელთა მშენებლობაც 1 440 000 ლარი დაჯდა და რომლებიც გათვლილია 50 ბავშვზე. აღნიშნულ ბაღებში დავასაქმეთ 17 ადამიანი (13 საღანძილეში, 4 ვერტყვიჭალაში). ეს ბაღები აღვჭურვეთ 16 437 ლარის ღირებულების ავეჯით, 4166 ლარის თეთრეულით, ასევე შეძენილ იქნა ახალი სარეცხის მანქანები, მაცივრები, ჭურჭელი და სხვა საჭირო ინვენტარი.

2021 წლის კვების ხარჯმა შეადგინა 120 711 ლარი, კომუნალურმა ხარჯმა 67 548 ლარი, რეცხვა ქიმწმენდის ხარჯმა შეადგინა 8538 ლარი.

2021-2022 სასწავლო წელთან დაკავშირებით ზაფხულში 5 საბავშვო ბაღს ჩატარდა მიმდინარე სარემონტო კოსმეტიკური სამუშაოები, რისთვისაც გაიხარჯა 10 000 ლარი.

2021 წლის 1 ივნისიდან ძალაში შევიდა ყველა საბავშვო ბაღში სურსათის უვნებლობის ახალ სტანდარტზე, ე.წ. „ჰასპის“ პროგრამაზე გადასვლის აუცილებლობა.

ხარაგაულის ბაღების გაერთიანებამ დროულად მოახდინა აღნიშნული სტანდარტების დასანერგად საჭირო ღონისძიებების განხორციელება .შ. პ. ს

„საქართველოს ხარისხის მიერ“ ჩატარდა შესაბამისი სწავლება ტრენინგები, მათი რეკომენდაციით შეძენილი იქნა ყველა საჭირო ინვენტარი, რაც საჭირო იყო ჰასპის პროგრამის სრულფასოვნად დასანერგად. აღნიშნულ ინვენტარი უზრუნველყოფს ჰასპის პირობების დაცვით კვების პროდუქტების შენახვასა და საკვები პროდუქტების მომზადებას.

2020 წლის 30 ივნისის #681 ბრძანებით, 2024 წლის 1 სექტემბრამდე, უნდა მოხდეს „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდულის“ მიხედვით საგანმანათლებლო პერსონალის სრულად გადამზადება. შექმნილია გრაფიკი და წლის ბოლოსათვის მოხდება 16 აღმზრდელის გადამზადება, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებული გვაქვს 5000 ლარი.

2022 წლის ბიუჯეტით სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება განისაზღვრა 1 758 000 ლარით, მათ შორის სახელფასო ფონდი შეადგენს 1 371 200 ლარს, კვების ხარჯი განსაზღვრულია 170 000 ლარით, კომუნალურის წლიური ხარჯი 110 900 ლარით.

სოფ. ხუნევში მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც ექსპლუატაციაში შევა სავარაუდოდ ახალი სასწავლო წლისათვის. აღნიშნული ბაღის ახალი ინვენტარის შესაძენად ბიუჯეტით გათვალისწინებული გვაქვს შესაბამისი თანხები და მშენებლობის დასრულებისთანავე მოხდება საჭირო ინვენტარის შემოტანა.

რაც შეეხება პრობლემებს, მოგეხსენებათ ავტობანის მშენებლობის გამო ხევის საბავშვო ბაღი დროებით განთავსებული გვყავს ნაქირავებ ფართში, რომელი ფართიც სამწუხაროდ სრულად ვერ აკმაყოფილებს საჭირო სტანდარტებს. ახალი ბაღის ასაშენებლად გამოყოფილია ტერიტორია თუმცა ჯერ-ჯერობით მშენებლობა ჭიანურდება.

ასევე გარკვეული პრობლემები შეუქმნა ავტობანმა ბორითის საბავშვო ბაღს. აქ გზამ გადაკვეთა საბავშვო ბაღის ეზო, შესაბამისად ეზოთი სარგებლობა დღეისათვის შეუძლებელია. ასევე ბოლომდე არ არის გარკვეული საერთოდ შეიძლება თუ არა მომავალში იქ ბაღის ფუნქციონირება.

4 წელია სოფ. მარელისში ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ჯგუფი, შარშან შევძელით და ერთი აღმზრდელის თანაშემწის შტატი დავამატეთ. ასევე მოხერხდა და მზაობის ჯგუფი განთავსდა მარელისის დაწყებითი სკოლის შენობასი, სადაც გაცილებით უკეთესი პირობებია, ვიდრე მანამდე ჰქონდათ, თუმცა ვფიქრობთ რომ საჭიროა აქ ახალი საბავშვო ბაღის გახსნა, რათა ბავშვებმა ისარგებლონ ბაღისათვის განკუთვნილი სრული პაკეტით.

საწვავის ფასის ზრდიდან გამომდინარე პრობლემატური გახდა ახალი, ვერტყვიჭალისა და საღანძილის საბავშვო ბაღების გათბობის საკითხი ზამთარში. ცენტრალური გათბობა, რომელიც მხოლოდ დიზელის საწვავზე მუშაობს, დღეში ერთ ბაღში 150-200 ლიტრამდე დიზელის საწვავს საჭიროებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ პანდემიის გამო ისედაც ძალიან იყო შემცირებული ბავშვთა ნაკადი ბაღებში, ამ ორი ბაღის გათბობა ბიუჯეტს ამ ზამთარში 60-70 ათასი ლარი დაუჯდებოდა, რაც კოლოსალურად დიდი თანხაა. შესაბამისად, მოვახდინეთ სხვა ბაღების მსგავსად შეშის ღუმელების მობილიზება. ზაფხულზე კი ვგეგმავთ აღნიშნული ბაღების ბოილერები გადავაკეთოდ შეშაზე, რაც მნიშვნელოვნად შეგვიმსუბუქებს გათბობის ხარჯებს.

და ბოლის, ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება მაქსიმალურად ეცდება, რათა ყველა საბავშვო ბაღში მომავალ თაობას ჰქონდეს განათლებაზე ორიენტირებული, უსაფრთხო და უმაღლეს სტანდარტებზე მორგებული გარემო.

ხარაგაულის „ე. კიკნაძის სახელობის

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“

ხელმძღვანელი: მ. ჭიპაშვილი